



## **ციალა უგრეხელიძე–ჟორდანიას, 70 წლის, ქ.თბილისი**

მვირფასო მეგობარო, გმადლობთ იმისათვის, რომ გვეკითხებით როგორია დაბერება საქართველოში, რომ გაქვთ სურვილი გაიგოთ ჩვენს შესახებ. გმადლობთ რომ გახსოვართ.

იყო დრო, დაულალავად ვეწეოდი პედაგოგიურ საქმიანობას ჯერ საბავშვი ბაღში, შემდეგ სკოლაში, შემდეგ ტექნიკუკში, შემდეგ კოლეჯში.

სხვადასხვა დროს ვიყავი მეთოდ-კომისიის თავმჯდომარე, მიმღები კომისიის პასუხისმგებელი მდივანი, გაერთიანებული პროფორგანიზაციის თავმჯდომარე თუ სხვა და სხვა.

ახლა? ახლა რაღა ვარ, 70 წელს გადაშორებული, შიშით შევყურებ დღევანდებობას – აღარავის აღარ ვჭირდები. მინდა ახალგაზრდებს აზრი გავუცვალო, დაველაპარაკო, მინდა ვუთხრა, რომ ჩვენც ვიყავით ახალგაზრდები, ჩვენც გვექონდა ჩვენი იდეები, მაგრამ უფროსი თაობის მონათხრობები ძლიერ გვანტერესებდა. ყოველთვის ვგრძნობდით, რომ თუ მათ რჩევას მივიღებდით საქმე უკეთესად მიდიოდა. ახლა? ახლა ვინ მოვისმენს, ვინ შეგამჩნევს საერთოდ.

ჰო დაბერება, დაბერება პირველი სიკვდილია, ხოლო მეორე სიკვდილი დასაფლავებაა. – ჩემი გაგებით.

ჩვენ, მოხუცები სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის მოფარფატე თოვლის ფანტელს ვგავართ, რომელსაც მზის ერთი მკაცრი შეხედვა გააქრობს უკვალოდ.

ჩვენ დავიბადეთ, გავჩნდით, ვიმოღვაწეთ. ჩვენი ცხოვრების გზაზე რამდენი ცუდი და კარგი გამოვცადეთ, როგორ გავრბოდით და ვჩქარობდით, რომ მოგვესწრო ის, რასაც წარმატება ქვია. რამდენჯერ წავიქეციეთ, სისხლიც გვდენია, მაგრამ წამოვდექით და გავაგრძელებთ, რომ შეგვექმნა, რაღაც ახალი, კარგი მომავლისათვის.

ახლა? მივდივარ ქუჩაში მიწისკენ თვალეზღაბრილი და ვფიქრობ აღარავისთვის საჭირო აღარ ვარ.

იშვიათად შევხვდები ხოლმე ჩემი სტუდენტობის თუ სკოლისდროინდელ მეგობრებს, (ვინღაა დარჩენილი) ვუცქერით ერთმანეთს და ცრემლიანი ღიმილით დაშორებული დიდხანს, დიდხანს ვფიქრობ–აუ... როგორი ლამაზი იყო და ახლა რასა ჰგავს?! – ისიც ასე ფიქრობს ალბათ ჩემზე.

მაგრამ მთლად ასეც არ არის. დაბერება ბედნიერება და სიხარულიც არის. ამ ხნის მანძილზე რამდენი რამ ვნახე, რა არ გამოვცადე. მერე რა, რომ ჩემი თავი აღარ მომწონს, როგორ დავჩაჩანაკდი მეთქი–ვამბობ. მე ხომ ის დაძველებული საძირე ვარ, ვაჟა–ფშაველას „ხმელ წიფელს“ რომ ჰგავს.

ჩვენ, საქართველოს მოხუცები ბებერი მუხის საძირეები ვართ, რომელიც დახუნძლულია უამრავი კვირტით, რომლებიც მხრებგაშლილ ტოტებად იქცევიან და ცისაკენ აღიმართებიან შეუცნობელის შესაცნობად.

ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ ვხედავთ ახალი თაობის წარმატებას. ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ შვილების, შვილიშვილების და შვილთაშვილების საქმიანობას და ცხოვრებას მოვსწარიტ, მაგრამ ვგრძნობთ, რომ რაღაც გვაკლია – ხელმოცარულნი ვართ.

გვინდა შვილიშვილს დაბადების დღისთვის მცირე საჩუქარი მივართვათ, მაგრამ როგორ? 150 ლარი პენსია როგორ გავანაწილოთ შუქის, გაზის, წყლის, ნაგვის, ტელეფონის გადასახდელებზე. ჯანმანგარი მოხუციც რომ ვიყოთ, ყოველი პენსიის ალებისას წამლებიც ხომ გვჭირდება? თუ შვილებთან გადაადგილება გვინდა ტრანსპორტის ფულიც ხომ საჭიროა. მაღალხარისხიანი საკვებისკენ გახედვაც ხომ ზედმეტია. ვართ ასე, ვუძლებთ, სანამდისაც გაიძლება.

არის რაღაც შეღავათები - უმწეო მოხუცებზე, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფთათვის. არსებობს სადაზღვევო პოლისები, საყოველთაო ჯანდაცვა, მაგრამ ეს ყველაფერი საკმარისი მაინც არ არის.

ახალ თაობას გავუზიარებდი ჩემს აზრს, რომ განსაკუთრებით წინდახედულები იყვნენ, როდესაც ოჯახს ქმნიან, როცა ქორწინდებიან. ქართული სიბრძნე ამბობს: „ასჯერ გაზომე და ერთხელ გადასჭერიო.“ რამდენი უსაზღვრო ტკივილი მოჰყვება, განსაკუთრებით შვილებიანი, ოჯახების ნგრევას – ამის ახსნა შორს წაგვიყვანს.

მინდა დაფიქრდეს ახალი თაობა, რომ ქორწინება მარტო თეთრი პიჯაკი, უმტვერო თეთრი კაბა და დროებითი გართობა კი არ არის, არამედ ეს არის მთელი მათი ცხოვრების ისტორიის უმშვენიერესი დასაწყისი. მათზეა დამოკიდებული, თუ როგორ ლამაზ ისტორიას შექმნიან, როგორ მომავალ თაობას ალუზრდიან სამშობლოს, სახელმწიფოს. მათ უნდა იგრძნონ პასუხისმგებლობა ოჯახისა და ხალხის წინაშე. ოჯახი ხომ სახელმწიფოს ნაწილია და მას თვალისჩინივით გაფრთხილება უნდა. ნამდვილი ადამიანური გზა ყოველთვის ვარდ–ყვავილებით როდია მოფენილი, იგი სავსეა წინააღმდეგობებით. ახალგაზრდა წყვილი მზად უნდა იყოს ამ წინააღმდეგობათა გადალახვისათვის. ამაში ძველმა თაობამაც უნდა შეიტანოს თავისი წვლილი. მაშინ შეიქმნება მათი ცხოვრების ლამაზი ისტორია. ისინიც ხომ ამისათვის არიან მოწოდებულნი, მაშინ ჩვენც, მოხუცებიც ბედნიერები ვიქნებით.

ყველაზე დიდი განძია სიყვარული. მინდა უყვარდეთ ერთმანეთი და ენდონ ერთმანეთს. ახალგაზრდა ოჯახებს ვურჩევ ჰყავდეთ მრავალი შვილი სათნოებითა და სიკეთის თესვით შექმნან ჩვენი ქვეყნის მომავალი.

ჩემი ნება რომ იყოს – საქართველოში დაბერებასთან დაკავშირებით 75 წელს გადაშორებულ პენსიონერებს (ასეთები ძალიან ცოტაა) პენსიას 300 დოლარამდე გავუზრდიდი, მაშინ არც გადასახადებისთვის ვიწუწუნებდით და არც წამლის შეძენისთვის.

ანდა:

75 წელს გადაშორებულ მოხუცებს გავათავისუფლებდი ყოველგვარი გადასახადისაგან. უფასოს გავუხდიდი საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობას, საავადმყოფოში მკურნალობას და რაც ყველაზე მეტად მათი გამხნეების უდიდესი საშუალებაა - შექქმნიდი ხანდაზმულთა დასაქამების ცენტრებს თუნდაც უმცირესი ანაზღაურებით.

ღმერთი იყოს თქვენი და ჩვენი მფარველი. იხარეთ, დატკბით ამ ცხოვრებით. შემოიკრიბეთ შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები და მოუყევით თქვენს შესახებ, ცხოვრების გზაზე სად დაუშვით შეცდომა და როდის იყავით წარმატებულნი.

გმადლობთ, რომ გვასაუბრეთ, გული გადაგვაშლევინეთ.

იხარეთ, იმრავლეთ ცისკრის ვარსკვლავებით მანათობელო, ჩვენო სიხარულო, მხნეობავ ახალო თაობავ.

თუ ნებას დამრთავთ, დაბერებასთან დაკავშირებით ჩემს საკუთარ ლექსს წარმოგიდგენთ, აი ისიც:

\*\*\*\*\*

სარკეში დავინახე ფიგურა საშინელი,

ცოტათი კი მგავდა, შიშისგან დავიბენი,

სახედაღარული, მხრებჩამოცვენილი,

ეს მე ვარ, ეს მე ვარ ღვთისგანგაჩენილი.

ო, როგორ გამიფრინდი, სადა ხარ სიყმაწვილევ,

ორპირი ყოფილხარ, რომ გითხრა სინამდვილე,

წახვედი, დამიტოვე თვალებში იარა,

აჰა, გამაქრე, გამაქრე მთლიანად.

ვიცი რომ მალე სულ წავა ყოველი,  
აღარ დამინდობს ეს წუთისოფელი,  
რას ვიზამ?! გავუყვები განგებას ნელ–ნელა,  
როცა სიცოცხლე სულ დამეხარჯება.

\*\*\*\*\*

და როცა წავალ გულნაწყენი ბოროტ სულებზე,  
ჩემს ალალ ზრახვებს ჩავაბარებ მზის ჩასვენებას,  
მე დედა ღმერთისა აღმიტაცებს ფაფუკ ღრუბელზე,  
მთვარის ალერსი დამავიწყებს მათ გახსენებას.

ო... გულო ჩემო, შეასრულე ღმერთის ბრძანება,  
სულო, იწამე მარადიულდ ცხოვრების წესი,  
ნუ გაგაკვირვებს სიცოცხლე და გარდაცვალება  
და მოკრძალებით აღასრულე ღვთის განაწესი.



Tsiala Ugrekhelidze-Zhordania, Tbilisi

Dear Friend, thank for asking us this question. We are more than happy to tell you our stories. Thank you for remembering us.

Once I worked as a teacher, firstly at a kindergarden, then at a school, and later at a technical school and college.

At different periods I have been a chairman of the methodological commission, a secretary of the selection commission and a chairman of trade unions.

And what now? Now I am more than 70-years-old and frightened to face the present as nobody needs me any longer. I would like to share my thoughts with young people, to speak with them, and to say that we also used to be young and were full of ideas but they don't seem to be very interested in stories of the older generation. My generation was different. We always thought that if we followed the advice of the older generation we would do better. And now? Who is going to listen to you or notice you?

Yes, getting old... Getting old is the first death, whilst the second death ends in a funeral, as I understand it.

We, old people, are like snowflakes, dashing from life to death, that may disappear with a severe look from the sun.

We were born, grew up and worked. We experienced a lot of bad and good things in our lives. How we rushed and hurried to do everything on time and how we strived for success. How many times we fell down, and even bled, but stood up and continued to create things for a new and better future.

Now? I walk through the streets with my eyes down, thinking that nobody needs me.

I very rarely meet my school or university friends - how many of them are still alive? And when I do happen to meet them, we look at each other and when we part my smile is full of tears, thinking how beautiful she was and how she looks now. She probably thinks the same about me.

But not all is that bad. Old age is a happiness and a joy. How many things I have seen during my life and how many things I have experienced! What do I do if I do not like myself any longer, how weak I have become? I often compare myself to aged roots from the poem by the Georgian poet Vazha Pshavela :

'We, old Georgian people, are like the roots of old oak trees with branches full of acorns stretched up to the sun to explore the unknown.'

We are happy to see the success of the new generation. We are happy that we see our children, grandchildren and great grandchildren but feel that something is missing - we are losers...

We would like to buy a small birthday present for our grandchildren, but how? The pension is GEL 150 so how do we manage to pay for electricity, gas, water, garbage and the telephone? Even if you are healthy enough, you still need to buy some medicines each month. If you want to visit your children, you need money for transport. As to food, you don't even dare to look at the quality food. What to do? You have to endure all of this.

There are some allowances, for single and vulnerable old people. There are some insurance policies that help but these are not enough.

I would share with a new generation that they should be careful when they marry. A Georgian saying says: 'Measure thrice, cut once'. How much pain is caused when a marriage breaks up, especially when there are children in a family?

I would like a new generation to understand that marriage is not only a white suit, a white dress and temporary entertainment but it is a beautiful beginning of their life story. It depends on them how beautiful their story will be and how they will grow. They should feel their responsibility for their family and for other people. A family is a part of the state and it should be treated with special care. An honest life is not always full of flowers, it is full of many obstacles. The newly married couple should be ready to overcome them. The older generation should help them in this. In this way they will have a beautiful life story. They want this and it will also make older people happy. The biggest treasure is love. I wish that they will love and trust each other. I advise young couples to have many children and to contribute to the country's future by doing things to help others.

If I had the power, I would give pensioners of more than 75-years-old (and there not many of them) a pension of USD 300. With this amount, there would be no problems paying for fees for utilities or buying medicines.

And/or:

I would exempt pensioners of the above age from all utility fees. I would also make public transport and medical treatment free for them and, what is most important, set up employment centres for old people. It would be a great boost for them even if they receive little in terms of wages.

God bless you and us. May you be happy and enjoy life. Be together with your children, grandchildren, and great grandchildren and tell them about yourself, mistakes that you made and successes you achieved.

Thank you for giving us an opportunity to speak and show what we have in our hearts.

Be happy and have many children. You are our happiness and encouragement, our young generation.

I would like to share some of my poems dedicated to old age:

\*\*\*\*\*

I saw a terrible figure in the mirror,  
That looks a bit like me, I feared a lot,  
A figure with a tired face and bent shoulders,  
This is me, a creature of God.  
Oh, Youth flew far and I don't know where,  
To tell the truth, you are a hypocrite,  
You went away and left only sorrow,  
And you may vanish wholly.  
Know I will go on forever,  
Life will not feel pity for me,  
What to do?! I will go slowly,  
When life is totally over.

\*\*\*\*\*

And when I get upset with cruel souls,  
I will give my kind thoughts to the sun,  
And the Virgin Mary will take me to fluffy clouds,  
And the Care of the moon will help me to forget them.  
Oh... my heart, follow God's order,  
My soul believe in immortality,  
Do not be surprised by life and death  
And modestly accept God's will.